



დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

დანართ N1

1. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – www.worknet.gov.ge;


2021 წელს worknet-სისტემაში სააგენტოს დახმარებით რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 8994 სამუშაოს მაძიებელი, საიდანაც თბილისის რეგიონში ცხოვრობს 2099, ხოლო დანარჩენ რეგიონებში - 6895. აღნიშნული 6895 სამუშაოს მაძიებელიდან 4853 (70.3%) ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

მათ შორის ქალი - 5154, შშმ პირი - 278.

ცხრილის სახით წარმოგიდგენთ რეგისტრირებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით:


ცხრილი 1;

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	2099
აფხაზეთი (ი.გ. პირი)	41
აჭარა	501
გურია	250
იმერეთი	2076
კახეთი	719
მცხეთა-მთიანეთი	325
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვან.	130
სამეგრელო ზემო სვანეთ.	788
სამცხე-ჯავახეთი	583
ქვემო-ქართლი	736
შიდა-ქართლი	746
სულ	8994



ცხრილი 2;

რეგიონი	%
თბილისი	23.3
აფხაზეთი (იმ.გ. პირი)	0.5
აჭარა	5.6
გურია	2.8
იმერეთი	23.1
კახეთი	8
მცხეთა-მთიანეთი	3.6
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვან.	1.4
სამეგრელო ზემო სვანეთ.	8.7
სამცხე-ჯავახეთი	6.5
ქვემო-ქართლი	8.2
შიდა-ქართლი	8.3
სულ	100




2. წლის დასაწყისიდან ინდივიდუალური და პროფორიენტაციის კონსულტირება ჯამში გაეწია 2584 პირს, საიდანაც 771 პირი თბილისის რეგიონის მაცხოვრებელია, ხოლო დანარჩენი 1813 ცხოვრობს რეგიონებში. მათ შორის 824 სამუშაოს მაძიებელი, ანუ 45,4% ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო არ არის წარმოდგენილი.

მათ შორის, ქალი - 1633, შშმ პირი - 198;

ცხრილის სახით წარმოგიდგენთ კონსულტირებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით

ცხრილი 3;

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	771
აჭარა	85
გურია	136
იმერეთი	544
კახეთი	148
მცხეთა-მთიანეთი	20
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვან.	21
სამეგრელო ზემო სვანეთ.	263
სამცხე-ჯავახეთი	14
ქვემო-ქართლი	238
შიდა-ქართლი	344
სულ	2584



აქვე გაცნობებთ, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სააგენტომ დაიწყო დისტანციური კომუნიკაცია სამუშაოს მაძიებლებთან. სააგენტოს კონსულტანტებმა განახორციელეს სატელეფონო კონსულტირება იმ პირებთან, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და სახელმწიფოსგან იღებდა კომპენსაციას 200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში. სატელეფონო კონსულტირების დროს, მათ მიიღეს შეთავაზება სააგენტოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. საერთო ჯამში, სააგენტოს კონსულტანტები დაუკავშირდნენ 10000-ზე მეტ პირს, (ზოგ შემთხვევაში განხორციელდა განმეორებითი დაკავშირება).

სააგენტოს მხრიდან დისტანციური კონსულტირება/სატელეფონო კონსულტირება გაეწიათ იმ სამუშაოს მაძიებლებს, რომლებმაც კოვიდ პანდემიის შედეგად დაკარგეს სამსახური. აღნიშნული პირები რეგისტრირებული არიან Worknet-ში.

დისტანციური კონსულტირება ჯამში 1332 პირმა მიიღო. საიდანაც თბილისის რეგიონში მაცხოვრებელი გახლავთ 434 პირი, ხოლო დანარჩენი 898 - საქართველოს რეგიონებში. აღნიშნული 898 სამუშაოს მაძიებლიდან 533 პირი, 59,3% , ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

3. მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში

სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა, საქართველოს მასშტაბით, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირება გაუწიეს 220 შპს პირს. მათ შორის, ქალი - 95.

დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შპს პირთათვის მოძიებული იქნა 54 ვაკანსია. მიმდინარე წელს, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 38 შპს პირი. (მათ შორის 19 ქალი) (ქ.თბილისი -17, აჭარა 5, იმერეთი 8, კახეთი 5, სამეგრელო -1, შიდა ქართლი 1 და ქვემო ქართლი 1)


ასევე, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 3 დამსაქმებელი და 8 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, ქალი 2, შპს პირი 8 (თბილისი - 6, შიდა ქართლი 1 და კახეთი - 1).

4. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ სისტემაში დარეგისტრირდა, 875 დამსაქმებელი და 11 414 თავისუფალი სამუშაო ადგილი. 2997 სამუშაოს მაძიებლისთვის გამოიწერა საგზური, საიდანაც თბილისის რეგიონის მაცხოვრებელი იყო 1195 პირი, დანარჩენი 1802 სამუშაოს მაძიებელი ცხოვრობს რეგიონებში, მათ შორის 895 პირი, 49,6%, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

ცხრილი 4;

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	1195
აჭარა	145
გურია	85
იმერეთი	696
კახეთი	268
მცხეთა-მთიანეთი	41
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვან.	24
სამეგრელო ზემო სვანეთ.	97
სამცხე-ჯავახეთი	54
ქვემო-ქართლი	145
შიდა-ქართლი	247
სულ	2997

გამოწერილი საგზურების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



პარალელურად, იმ პირებს, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სამუშაოს მაძიებლად (სამუშაოდ 39000-ზე მეტი პირი), ინფორმაცია ეგზავნებოდათ არსებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამების და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. მათი მონაცემების სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2021 წელს დასაქმებული გახლდათ 9099 პირი, მათ შორის 966 პირი დასაქმებული იყო იმ დამსაქმებლებთან (მათ შორის 627 ქალი), რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის.


5. დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მიზნით, შეტყობინება გაიგზავნა 384 649 სამუშაოს მაძიებელთან, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს რეგიონებში, მათ შორის 238 925 სამუშაო მაძიებელი, 62,1%, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

2021 წლის მდგომარეობით ჩატარებულ ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 2014 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის რეგიონში ცხოვრობს 1341, მათ შორის 175 მონაწილე, 33%, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

ცხრილი 5:

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	673
აჭარა	595
იმერეთი	94
სამეგრელო ზემო სვანეთ.	60
სამცხე-ჯავახეთი	270
შიდა-ქართლი	322
სულ	2014

ფორუმზე წარმოდგენილი მაძიებლების რაოდენობა




6. **მომზადება-გადამზადების პროგრამაში** წლის განმავლობაში, ჩაერთო და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გაუფორმდა იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას და დამსაქმებელ ორგანიზაციას, რომელთაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოპოვებული აქვთ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსების განხორციელების უფლება. შესაბამისად, 24 ორგანიზაციიდან 7 სახელმწიფო და 17 კერძო დაწესებულებაა. რეგიონების მიხედვით სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: თბილისი - 14, რეგიონები - 10

2021 წელს, მომზადება-გადამზადების პროგრამაში ჩაერთო 2080 სამუშაოს მაძიებელი, საიდანაც თბილისის მაცხოვრებელი გახლავთ 1359, ხოლო 721 ცხოვრობს საქართველოს რეგიონებში. აღნიშნული სამუშაოს მაძიებლიდან 310 პირი, 42%, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

ცხრილი 6:


რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	1359
გურია	35
იმერეთი	240
კახეთი	89
სამეგრელო ზემო სვანეთ.	233
ქვემო-ქართლი	124
სულ	2080



7. **სტაჟირების ფარგლებში** - დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით კომპონენტში ჩაერთო 25 დამსაქმებელი (თბილისი - 5 დამსაქმებელი, რეგიონები - 20 დამსაქმებელი) და 147 სტაჟიორი, საიდანაც 57 პირი თბილისის მაცხოვრებელია, ხოლო 90 პირი ცხოვრობს დანარჩენ რეგიონებში. აღნიშნული სტაჟიორიდან 38 პირი, 42,2 %, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

ცხრილი 7;


რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	57
აჭარა	1
გურია	3
იმერეთი	32
კახეთი	12
შიდა-ქართლი	42
სულ	147



8. **საკვანძო კომპეტენციების ტრენინგი.** აქტივობაში ჩაერთო 820 სამუშაოს მაძიებელი, საიდანაც 128 პირი თბილისის მაცხოვრებელია, ხოლო 692 პირი ცხოვრობს დანარჩენ რეგიონებში. აღნიშნულიდან 202 პირი, 29,1 %, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის.

ცხრილი 8;

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	128
აჭარა	38
გურია	94
იმერეთი	153
კახეთი	55
მცხეთა-მთიანეთი	4
სამეგრელო ზემო სვანეთ.	109
სამცხე-ჯავახეთი	3
ქვემო-ქართლი	93
შიდა-ქართლი	143
სულ	820



2021 წლის დასაწყისიდან, ახალი სერვის მოდელის ფარგლებში, მომსახურება გაეწია 21 717 სამუშაოს მაძიებელს, საიდანაც თბილისის მცხოვრები გახლავთ 6854, ხოლო 14860 პირი ცხოვრობს საქართველოს რეგიონებში. აღნიშნული სამუშაოს მაძიებლიდან 7695 პირი, 52 % , ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის. აღნიშნული მონაცემი არის ნაზარდი ჯამი. აქედან გამომდინარე **სულ სერვისებში და პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 6579 ერთეულმა სამუშაოს მაძიებელმა** მათ შორის თბილისი 2625

რეგიონები 3954, 49%, ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სააგენტო წარმოდგენილი არ არის (სულ 1938).

დასაქმების ხელშეწყობის სერვისებისა და განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, 2021 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 3812 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის 2525 ქალი, ახალგაზრდა - 1711, ხოლო შშმ პირი - 115.

ცხრილი 9;

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	1191
აფხაზეთი (იმ.გ. პირი)	259
აჭარა	383
გურია	111
იმერეთი	524
კახეთი	294
მცხეთა-მთიანეთი	85
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვან.	29
სამეგრელო ზემო სვანეთ.	314
სამცხე-ჯავახეთი	61
ქვემო-ქართლი	306
შიდა-ქართლი	216
ცხინვალი (იმ.გ. პირი)	39
სულ	3812

